ო ქ მ ი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 30 ივლისი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონი კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.გურიელ ქარდავა

8.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ივლისის N 50 – 502420734 წერილის განხილვა („კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ივლისის N 50 – 502420759 წერილის განხილვა („მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

+ + +

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8,წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ივლისის N 50 – 502420734 წერილის განხილვა („კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, დაბალემისიანი განვითარება და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებასა და გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მნიშვნელოვან ასპექტ წარმოადგენს.

საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებებით და ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებით (ეროვნული დადგენილი კონტრიბუციის ვალდებულება (NDC), გრძელვადიანი დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმა, კლიმატის ცვლილებების სტრატეგია 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030 და სხვა) საქართველოს დადასტურებული აქვს მზაობა შეიტანოს წვლილი კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციისა და სათბური აირების ემისიის შემცირებაში.

მერების შეთანხმება (COM) ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების და მასში ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. თავდაპირველად 2008 წელს ევროკავშირში წამოწყებულმა ინიციატივამ, რომლის მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ევროკავშირის კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება იყო, 2015 წელს გლობალური შეთანხმების სახე მიიღო. დღეის მდგომარეობით მერების შეთანხმებაში მსოფლიოს 12 ათასზე მეტი მუნიციპალიტეტია გაერთიანებული.

მერების შეთანხმების ხელმომწერთა შორის საქართველოს 32 მუნიციპალიტეტია, რომლებიც 2030 წლის საქართველოს ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მდგრადი ენერგიისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAP) შემუშავების დაპირებით.

მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტები მონაწილეობას იღებენ საბჭოს საკოორდინაციო ჯგუფში, რაც საბჭოს დებულების მიხედვით, შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალურ ხელისუფლებებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი პროექტების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია გააცნონ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს და აქვე მოითხოვონ დამატებითი მხარდაჭერა (SECAP) გეგმების შესრულების ნაწილში. მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტები მონაწილეობდნენ საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიის შემუშავებაში.

აღწერილ პროცესებში ჩართვისა და სრულფასოვანი მონაწილეობისთვის პრიორიტეტად მიიჩნევა ხობის მუნიციპალიტეტის ჩართვა კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებებში, რის გამოც, ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსგან თანხმობის მისაღებად მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე მერების შეთანხმებასთან მიერთებისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

სამართლებრივი საფუძველი: „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“.

კომისიის წევრების მხრიდა განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ივლისის N5 – 502420759 წერილის განხილვა („მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების ხობის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ (იხილეთ დანართი 1)

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი ან შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და შემდგომ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.